№ 278

პარასკევი, 24 დეკემბერი, 1899 წ.

1877—1899

№ 278

პარასკევი, 24 დეკემბერი, 1899 წ.

# ივერია

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

## ქართული თეატრი

კვირას, 26 დეკემბერს,

ქართულის დრამატიულის საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

## პარიზის ღატაკნი

მელოდრ. 5 მოქ. და 7 სურათად

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნ კარგარეთელი, ტ. აბაშიძე, ნებიერიძისა, გარელი და სხვ. ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხი, სვიმონიძე, გედევანოვი, კანდელაკი, შათირიშვილი, ალამიძე და სხვ.

დასაწყისი 8 საათზე

ხუთშაბათს, 30 დეკემბ. ბენეფისი კ. დ. ყიფიანისა

რეჟისორნი **ვ. აბაშიძე** და **ქ. მესხი.**

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველდღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჭიჭინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი —9—10 საათ.

**დ. ქ. ერისთავი**—სადოსტაქრო (საქირურგიო). 10—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—$10^{1}/_{2}$—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ნ. ზ. უშიკოვი.**—ბავშვებისა (ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით)—12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ სადოსტაქრო.

**ი. დ. ბიბთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

**მ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—1—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგანი და ბავშვებისა—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ს. ი. ვაჩაძე.**—შინაგანი და მასაჟი—6—7 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., დანარჩენი—მორიგებით.

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (კარანცოვის მეგობის პირდაპირ).

დირექტორი სამკურნალოსი **მ. ა. გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი** 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ზ. გურკო.** $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ი. ფ. პროტასევიჩი.** 5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** 7—$7^{1}/_{2}$ საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს ღ სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ლ. ტ. არვანიტაკი**—გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით. მიმართონ 11—1 საათამდე.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову. (—1—წ).

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი

მიიღებს

**ყელისა, ცხვირისა და ყურით**

ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.

(100—31—68)

## ახალი ამბავი

*** საერო განათლების მინისტრმა წინადადება მისცა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს განკარგულება მოახდინოს, რომ ტფილისში სამს ახლად დაარსებულს პირველ დაწყებით სკოლას „ირაკლის“ სკოლები დაერქვას, საქართველოს მეფის ირაკლი II გარდაცვალებიდგან ასის წლის შესრულების სახსოვრად.

*** ახალქალაქის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ ტფილისის საკომერციო ბანკმა 3000 მანეთი გადასდო, ხოლო ტფილისის საურთიერთო კრედიტის საზოგადოებამ—1000 მანეთი.

*** იმავე დაზარალებულთა სასარგებლოდ ამ ორ-სამ დღეში გაზეთ „კავკასიის“ რედაქციას მიუღია შემოწირულება 582 მანეთი 65 კაპეიკი, ხოლო „ტფილისის ფურცელს“—1,803 მანეთი. ეს ფული რედაქციებს უკვე გაუგზავნია ტფილისის გუბერნატორის პოლკოვნიკის ი. ნ. სვეჩინისთვის, რომელიც ამ ჟამად ახალ-ქალაქის მაზრაშია დაზარალებულთათვის შემწეობის აღმოსაჩენად. გუბერნატორს თან ახლავან საგუბერნიო მკურნალი ტ. ს. ქიქოძე და საგუბერნიო გლეხის საქმეთა საკრებულოს მდივანი ა. ყიფშიძე.

*** კავკასიის მთავარ-მართებელს გენერალ-ადიუტანტს თავ. გ. ს. გოლიცინს განკარგულება მოუხდენია დაუყოვნებლად გადაეცეს ქ. ახალქალაქში ტფილისის გუბერნატორს 3000 მანეთი იმათთვის დასარიგებლად, ვინც მიწის-ძვრისაგან დაზარალდა. ამას გარდა მთავარ-მართებელმა ნება დართო ამ დაზარალებულ გლეხებს მიეცეთ სესხი ამ სოფლების სასოფლო-სამეურნეო თანხიდგან. ეს თანხა 45,000 მანეთამდე უნდა იყოს.

*** როგორც რუსულ გაზეთებს ატყობინებენ, მიწის ძვრას მართლაც საშინელი უბედურება მიუყენებია ახალქალაქის მაზრის ცამეტ სოფლისთვის. შენობები მიწასთან გასწორებულია, დაღუპილა, ხალხის გარდა, მრავალი საქონელი და გლეხების სარჩო-საბადებელი. „კავკაზს“ სწერენ, რომ ორი სოფელი სრულიად შთანთქა დედამიწამაო. ისინი, ვინც უბედურებას გადარჩნენ, მეტად უმ-

## ფელეტონი

**მიკრობები და მათი დანიშნულება.**

ადამიანის სხეული შესდგება სხვადასხვა ორგანოსაგან, რომლებსაც სრული კავშირი აქვთ ურთიერთ შორის, თუმცა-კი ყოველ მათგანს თავისი განსაკუთრებული მუშაობა აქვს; თითოეულ ორგანოს მუშაობა გამოწვეულია სხვა დანარჩენ ორგანოთა მოქმედების წყალობით, ხოლო ყველა ორგანოთა მუშაობით-კი წარმოსდგება სიცოცხლე. მაგალითად, კუჭი და გული რომ ავიღოთ, ადამიანი პირველ შეხედვით თითქო ვერავითარ კავშირს ვერა ჰპოვებს ამ ორ ორგანოს შორის, მაგრამ როდესაც დაუკვირდებით, დარწმუნდებით მათ ურთიერთ დამოკიდებულებას: კუჭი ის ორგანოა, რომელიც მის მიერ გამოხარშულ საჭმლიდგან აძლევს მუდმივ მასალას სისხლს, ხოლო ამ უკანასკნელს-კი ატრიალებს ძარღვებში გული და ამით, რასაკვირველია, იკვებება ყველა ორგანოები და, მათ შორის, კუჭიც. ერთის რომელისამე ორგანოს შეცირებულს მუშაობას გავლენა აქვს დანარჩენ ორგანოებზედ. ადამიანის სხეულში, როგორც ყოველ რთულ მეხანიზმში, ყოველთვის რაიმე ცვლილებაა, რომელიც არყევს ამა თუ იმ ორგანოს მუშაობას, მაგრამ ამ გვარი ცვლილება, თუ ხანგრძლივი არ არის, ძლიერ ხშირად უმნიშვნელოა ჯან-მრთელობისათვის. იმ შემთხვევაში კი, როდესაც რომელისამე ორგანოს მოქმედება შესამჩნევად ირყევა, მაშინ ჩვენი სხეული ჰკარგავს თავისს ბუნებრივ სისწორეს და იმ მდგომარეობაში ვარდება, რომელსაც ჩვენ ავადმყოფობას ვუწოდებთ.

იმ ავადმყოფობათა გარდა, რომლებიც წარმოსდგება ჩვენის სხეულის ორგანოთა შეცვლილ მუშაობით, არის იმ გვარისანიც, რომელთ სულ განცალკევებული ადგილი უჭირავთ სხვა მრავალ სენთა შორის; განსხვავება უმთავრესად ის არის, რომ გადამდები თვისება აქვთ. საკმარისია, რომ ერთს რომელსამე ადგილას ამ გვარი გადამდები სენი გაჩნდეს, რომ მთელ იქაურობას მოედოს, თუ რომ ზოგიერთმა გარემოებამაც ხელი შეუწყო. ამ გვარ ავადმყოფობათა ჯგუფს ეკუთვნის: ყვავილი, წითელა ხუნაგი, ჟამი, ხოლერა, საოფლე და სხვა.

კაცობრიობას ყოველთვის განსაზღვრული ჰქონდა გადამდებ სენთა ჯგუფი დანარჩენ ავადმყოფობათაგან. ადამიანის გონება მუდამ იმასა სცდილობდა, რომ აეხსნა ეს საოცარი თვისება გადამდებ სენისა; სცდილობდა გამოერკვია, თუ რაში მდგომარეობდა ეს მომწამლავი ძალა. სხვა და სხვა დროს და სხვა და სხვა ხალხთ ამის შესახებ თავისებური წარმოდგენა და აზრი ჰქონდათ, მაგრამ ყველა ამ გვარ ახსნას აკლდა სიმართლე და ოცნებური ხასიათი ჰქონდა, უფრო ხშირად-კი ხალხის ცრუმორწმუნეობა იხატებოდა.

მედიცინის მამის ჰიპოკრატის აზრით, გადამდებ სენის მიზეზი ორგანიულ ნივთიერებათა გახრწნა იყო.

ასევე ჰფიქრობდა დიოდორი, რომლის სიტყვით ვიდრე ათინაში ჟამი გაჩნდებოდა, დიდი წვიმები დაიწყო, რის გამოც მთელი ქალაქი თითქმის ტბად გადაიქცა, შემდეგ-კი ძლიერ ცხელი ზაფხული დადგა და მზის მხურვალე სხივებმა გააშრო სველი დედამიწა და ამასთან გამოიწვია გახრწნა იმ ორგანიულ ნივთიერებათა, რომლითაც გაჟღენთილი იყო მიწა; ამით, დიოდორის სიტყვით, გამოიცვალა ჰაერის თვისება, რამაც ბოლოს ჟამი გამოიწვია. ამ გვარი აზრი მხოლოდ იმითია საყურადღებო, რომ მაშინაც ესმოდათ ჰაერის მნიშვნელობა გადამდებ ავადმყოფობათა გავრცელების საქმეში.

მე 1675 წელიწადი ფრიად შესანიშნავია: ამ წელს ჰოლლანდიელმა მეცნიერმა ლევენგუკმა თვალ-მადიდის შუშის (ლუპა) წყალობით დაგუბებულ წვიმის წყლის წვეთში აღმოაჩინა რაღაც პაწაწინა, თვალით უხილავნი არსებანი, რომელთა მოძრაობაც შეეძლო ადამიანს გაესინჯა და დაენახა. სამწუხაროდ, ვერც ლევენგუკმა და ვერც სხვა მეცნიერებმა ვერ გამოარკვიეს სრული მნიშვნელობა ამ პაწაწინა არსებათა, ასე რომ ამ აღმოჩენას მაგდენად არაფერი შედეგი არ მოჰყვა მეცნიერებაში.

დადგა მესამოცე წლები და მეცნიერებაში, კერძოდ სამკურნალო მეცნიერებაში ფრიად შესანიშნავი ცვლილება მოხდა, მეცნიერებმა იმდენად გააუმჯობესეს მიკროსკოპი (თვალ-მადიდი), რომ შესაძლო შეიქმნა იმ არსებათა ღრმად შესწავლა, რომლებიც პირველად ლევენგუკმა დაინახა სამასის წლის წინად. თურმე ჰაერი, წყალი, დედამიწა, ერთის სიტყვით, მთელი არე-მარე სავსე ყოფილა ამ პაწაწკინა არსებებით, რომლებიც, თუმცა ჩვენ თვალით ვერ ვხედავთ, მაგრამ მოძრავნი არსებანი ყოფილან. ამასთან აღმოჩნდა, რომ საკვირველი თვისება ჰქონიათ გამრავლებისა: რამდენიმე საათის განმავლობაში ერთი ამ გვარი არსება ერთი ათასად, ათი ათასად იქცევა. ეს პაწაწინა არსებანი როდი არიან ერთგვარის მოყვანილობისა: ზოგი თავის მოყვანილობით პაწაწინა ჩხირსა ჰგავს, ზოგს კი უფრო მრგვალი-ბურთის მსგავსება აქვს; არიან იმისთანებიც, რომლებსაც დაკლაკნილი, სპირალის მოყვანილობა აქვთ.

ამ პაწაწინა არსებებს სახელად დაერქვათ მიკრობები, მკითხველი საზოგადოება-კი უფრო ბაცილების სახელით იცნობს.

დიდ ხანს არ იცოდნენ, თუ რა დანიშნულება ჰქონდათ ქვეყნად ამ საუცხოვო უხილავ არსებათ; მარტო მისი გამო, რომ იგინი არსებობდნენ ქვეყნად, რაიმე დანიშნულება უნდა ჰქონოდათ. ბევრსა ჰფიქრობდნენ მეცნიერნი, მაგრამ ვერას გახდნენ, ბევრი სხვა და სხვა აზრი იქმნა წარმოთქმული, მაგრამ ნამდვილი ვერავინ სთქვა. მართალი გამოარკვია დიდებულმა ფრანგმა—მეცნიერმა პასტერმა. ამ აღმოჩენას შემდეგმა შემთხვევამ მოუსწრო: საფრანგეთის ერთ სამხრეთ პროვინციაში, სადაც აბრეშუმის ჭია მრავლად მოჰყავთ, გაჩნდა ერთგვარი ჭირი, რომელმაც სრულიად გაანადგურა ეს ჭია. ფრანგები მეტად დაღონდნენ, რადგან დიდი ზარალი მოუვიდათ. ვერავინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წეო და უნუგეშო მდგომარეობაში არიან თურმე. სიცივე ახალქალაქის მაზრაში 26°-მდე ადის და ამ სიცივეში ნახევრად მშიერ-მწყურვალი და შიშველ-ტიტველი ხალხი გარეთ ათევს თურმე ღამეს. დიდ საცოდაობაში ჩაცვივნულან განსაკუთრებით ბავშვები, რომელთაც დედ-მამა და ნათესავები გასწყვეტიათ.

ტფილისის გუბერნატორის ხელმძღვანელობით, იმ სოფლებში, სადაც უბედურება მოხდა, უკვე შესდგომიან მიწის თხრას და დაღუპულთა გვამების ძებნას. ჯერ ჯერობით 70 გვამამდე უპოვნიათ დაქცეულ შენობების ქვეშ. რამდენიმე კაცი ცოცხალი უნახავთ. მთელის მაზრის მცხოვრებნი საოცრად არიან თურმე შეშინებულნი. ეს შიში უფრო გაძლიერებულა 22 დეკემბერს, დილის 10 საათზედ, როდესაც ახალქალაქსა და იმის ახლო-მახლო სოფლებში მიწის-ძვრა მეორედ მომხდარა.

*** 28 დეკემბერს კრება ექმნება ტფილისის საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს. ამ კრებაზედ საკრებულომ უნდა განიხილოს საბჭოს უკანასკნელი დადგენილება ტფილისის რკინის გზების კონცესიით გაცემის შესახებ.

*** ამიერ-კავკასიის ქალაქების, პოსადების და დაბების უძრავ ქონებაზედ გადასახადი უკვე გაწერილ იქმნა. ტფილისის გუბერნიაში ეს გადასახადი 134,000 მანეთს შეადგენს, ერევნის გუბერნიაში—29,000 მ., ბაქოს—104,000 მ., შავის ზღვის გუბერნიაში—6,000 მ., ყარსის ოლქში—700 მ. და ზაქათალის ოლქში—800 მანეთს.

*** ტფილისის გუბერნიის და ზაქათალის ოლქის სახელმწიფო ქონებათა გამგეს შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ტყის გამგენი და დარაჯნი შეიარაღებულ იქმნენ ბერდანის თოფებით. ტყვია-წამალიც მათ ხაზინიდგან უნდა მიეცეთო.

*** გუშინ, 23 დეკემბერს, ტფილისის თავად-აზნაურთა საადგილმამულო ბანკისაგან გამოცხადებული იყო საჯაროდ გასასყიდად 77 მამული მოკლე-ვადიან სესხისა. ამათგან გასყიდვისაგან დახსნილ იქმნა 65 მამული რადგანაც პატრონთაგან შეტანილ იქმნა გასყიდვამდე შესატანი ფული. 12 მამული დარჩა გასასყიდად, ამათგან ცხრა მამული გაიყიდა და სამი დარჩა ხელ-ახლად გასყიდვისათვის.

*** 28 დეკემბერს ტფილისის საქალაქო საქმეთა საგუბერნიო გამგეობის საკრებულო განიხილავს ტფილისის ქალაქისა და ბელგიის უსახელო საზოგადოების წარმომადგენლის ხელშეკრულობას ქალაქის რკინის გზის იჯარით გაცემის შესახებ.

*** შემდეგი კრება ტფილისის საბჭოსი მოხდება სამშაბათს, 28 დეკემბერს.

*** ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის წინადადებით, სამთო მმართველობის უფროსმა ვაჰგზავნა ახალქალაქის მაზრაში, სადაც მიწის ძვრამ დააზიანა სოფლები, სამთო ინჟინერი ვებერი, რომელიც გუშინ გავიდა ტფილისიდგან. სამთო სამმართველოს უფროსმა წინადადება მისცა აგრეთვე ბაქოს სამთო ინჟინერს ლებედევს და ბათუმისას—ვანდს წავიდნენ ახალქალაქის მაზრაში, თუ სურთ და საჭიროდ ჰპოვებენ.

როგორც ამბობენ, ინჟენრებმა გეოლოგიურად უნდა გამოიკვლიონ დაზიანებული და ახლოს მდებარე ადგილები იმ აზრით, რომ შემდეგში შეიძლება იქ ცხოვრება თუ არაო.

*** კავკასიის რკინის გზის გამგეობამ გუშინ ამბავი მიიღო პეტერბურგიდგან იმის შესახებ, რომ გზათა მინისტრის უქვეშევრდომლეს მოხსენების გამო ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება ერთ გამგეობის ქვეშ იმყოფებოდეს ამიერ კავკასიისა და ყარსის რკინის გზები და ამ შეერთებულ გზებს ერთი საზოგადო სახელი ეწოდოს—„ამიერ კავკასიის რკინის გზა“.

*** 23 დეკემბერს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ საქალაქო ადგილების იჯარით გაცემის დროს, როცა ხელშეკრულობა დაიწერება, მოიჯარადრეს უთუოდ გამოერთვას შესაფერისი ბეგ.

*** 22 დეკემბერს ქალაქის გამგეობამ განიხილა საქმე ქალაქის მამულის შესახებ, რომელიც 1894 წ. იჯარით მისცა ბ-ნს პროხოროვს აგურის ქარხნისათვის და პროხოროვმა შემდეგ გარდასცა ბ-ნს ზილბერბერგის.

გამგეობამ დაადგინა, ეს ადგილი 2089 საჟ.) აღარ გასცეს სააგურე ქარხნისათვის, არამედ მიანდოს ქალაქის მიწის მზომელს, დაანაწილოს იგი ას-ას საჟენებად და სახლების ასაშენებლად იჯარით გასცეს. ამასთანავე გამგეობამ გარდასწყვიტა უჩივლოს ბ-ნ ზილბერბერგს, რომელზედაც 2053 მანეთია დარჩენილი იჯარის ფული.

*** ქუთაისის საგუბერნიო ადმინისტრაციას შუამდგომლობა აღუძრავს იმის შესახებ, რომ ამ გუბერნიის საპყრობილეში ზედამხედაობა გაძლიერებულ იქმნას. ამ საქმისათვის ადმინისტრაცია 2,700 მანეთს თხოულობს.

*** როგორც „კავკაზს“ პეტერბურგიდგან ატყობინებენ, გერმანიის ელჩად ტფილისში ემილ ობერგი დაუნიშნავთ.

*** სამეგრელო. როგორც გაზეთებიდგან სჩანს თითქმის მთელს კავკასიაში სასტიკი ზამთარია თურმე წლეულს: სამეგრელოში ჯერ-ჯერობით კარგი ამინდები სდგას. დეკემბერში ცოტა ჩამოთოვა მთა-ველი, მაგრამ მეორე და მესამე დღეს ისევ გაჰქრა. ერთის სიტყვით, წლევანდელი ზამთრის შესახებ ჯერ არ გვეთქმის საყვედური, მაგრამ უბედურება ის არის, რომ თითქმის ყოველს საზოგადოებაში მოდებულია ათას გვარი ავადმყოფობა, მაგალითად: ყვავილი, კისერა, მჭვალი, ანთება და სხვანი; უფრო-კი გავრცელებულია კისერა. ეს სენი უფრო პატარა ბავშვებს ეტანება და დიდებსაც აზარალებს. საუბედუროდ, ჩვენს ხალხს ამ სენის წინააღმდეგ წამალი არ სწამს, რამაც სენს უფრო ფრთა შეასხა და გაათამამა.

*** ფოთი. 11 დეკემბერს ქალაქის სასწავლებლის სასარგებლოდ საღამო გაიმართა აქ. მოწვეული იყო საღამოზედ ცნობილი მომღერალი ქ-ნი ძნელაძისა, მაგრამ არ მოსულა. მეორე დღეს, ე. ი. 12 დეკემბერს, ბ-ნ კოხრეიძის თაოსნობით, გაიმართა წარმოდგენა და კონცერტი—აქაურ სამკითხველოს სასარგებლოდ. საღამოს გამგედ ბრძანდებოდა ქ-ნი კახიძისა. ტფილისიდგან იყო მოწვეული ბ-ნი კავსაძე, რომელმაც ორი დღის განმავლობაში მომღერალთა გუნდი მოამზადა და სცენაზედ ამღერა. მშვენივრად შეასრულეს ტრიო ქ-ნმა კოტეტაშვილისამ, ბ-ნმა კავსაძემ და შავიანავამ. წარმოადგინეს „ადვოკატი მელაძე“. წარმოდგენაში მონაწილეობას იღებდნენ: ქ-ნი კოტეტაშვილისა და ბ-ნნი ვ. ახობაძე, გ. კონდახჩიშვილი, თ. გოგიტიძე, ავალიშვილი და კალანდაძე. ბ-ნმა ა. ნიკიტინმა წაიკითხა რამდენიმე რუსული და ქართული ლექსი. წარმოდგენას დიდძალი საზოგადოება დაესწრო. ბ-ნ კავსაძეს ძიართვეს დაფნის გვირგვინი და ვერცხლის სათუთუნე ზედ წარწერით: „საყვარელ მომღერალს ბ. ა. გ. კავსაძეს ფოთის საზოგადოებისაგან“.

არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ ორმა ზედიზედ გამართულმა საღამომ ერთი მეორეს ხელი შეუშალა. აქაური საზოგადოება მეტად ღარიბია ქონებრივად და, კიდევაც რომ დიდათ სურდეს, საქველმოქმედო საქმისთვის ყოველ დღე არ შეუძლიან ხარჯის გაღება.

*** დ. სამტრედია. ამ დღეებში, ადგილობრივ ბოქაულის ბ-ნ მახარაძის დახმარებით, აქაურ სცენის-მოყვარეებმა წარმოადგინეს „ცოლები დავკარგეთ“—კომედია გარსევანოვისა, „რაც არ მერგება, არ შემერგება“—კომ. ვ. გუნიასი და რამდენიმე მოკლე სცენები. წარმოდგენის გათავებისას გაიმართა ცეკვაობა. ლეკური მშვენივრად ითამაშა ა. რუხაძის ასულმა. მადლობის ღირსია ბ-ნი გეთია, რომელიც სათავეში უდგა ამ საქმეს. მან, აქ დაბინავებისათანავე, შეადგინა სცენის მოყვარეთა წრე და ამ ცოტა ხანში უკვე ორჯერ გამართა წარმოდგენა. მომავლისათვის დახმარება აღგვითქვა აგრეთვე ქ-ნმა გ. ჩაჩავასამ. ძლიერ აბრკოლებს საქმეს ის, რომ სცენისათვის საკუთარი მორთულობა არა აქვს და დიდი ხარჯი გადის იმის დაქირავებაში.

შემოსავალის ნახევარი გადადებულ იქმნა აქაურ სამრევლო და სამინისტრო სკოლების სასარგებლოდ.

*** ცხინვალი. 19 დეკემბერს, ნაშუადღევის 2-ს საათზედ, აქეთ მიწის-ძვრა მოხდა. უბედურება არამომხდარა-რა, მხოლოდ ხალხი შეშინდა და გარეთ გამოვარდა.

*** სოფელი კანი. (ქუთ. გუბ.) 19 დეკემბერს, კვირას, ნაშუადღევის ორ საათზედ აქ ძლიერი და არა ჩვეულებრივი მიწის-ძვრა მოხდა. ხალხმა, ვაჟრებმა შიშისაგან სახლებს თავი მიანებეს და მინდვრებს მიაშურეს. ბევრი ხალხი დაზიანდა.

*** როგორც წინადაც ვწერდით, თოვლმა საშინლად დააზიანა ტელეფონის მავთულები ტფილისში. ამ მავთულების მოწყობასა და გამართვას ორი კვირა მაინც დასჭირდება.

---

ვერავითარი საშუალება ვერ მოიგონა; ისიც კი ვერ გაიგეს, თუ რა იყო მიზეზი ამ ჭირისა. ბოლოს გაჰგზავნეს პასტერი ამ საქმის გამოსაკვლევად. პასტერმა ცოტა ხნის შემდეგ აღმოაჩინა, რომ ამ ჭირის მიზეზი იყო ერთგვარი მიკრობი. ეს იყო პირველი ავადმყოფობა, რომელსაც მიზეზად მიკრობი აღმოუჩინეს. ამას მიჰყვა სხვა-და-სხვა ევროპიელ მეცნიერთა გამოკვლევანი, რომლის შედეგად ის იყო, რომ მრავალ გადამდებ სენს თავისი საკუთარი მიკრობი უპოვნეს.

ამ გვარად გამოირკვა მიკრობთა დანიშნულება ქვეყნად. ამასთანავე აღმოჩნდა, რომ მიკრობები განიყოფებიან ორ უმთავრესს ჯგუფად: პირველს ეკუთვნიან ისინი, რომლებიც გამოიწვევენ ადამიანის სხეულში სხვა და სხვა გვარ გადამდებ სენს, მეორეს კი იმგვარი მიკრობები შეადგენენ, რომლებსაც არივითარი დამოკიდებულება არ აქვთ ავადმყოფობასთან და სულ სხვა აზრით არიან გაჩენილნი ქვეყნად.

მაშასადამე ყოველი გადამდები სენი თავისი შესაფერი მიკრობით არის გამოწვეული ადამიანის სხეულში.

მავნე მიკრობები ცოცხალ არსების სხეულის გარდა იმყოფებიან ჰაერში, წყალში, მიწის ნიადაგში, იმ საჭმელში, რომელითაც ჩვენ ვიკვებებით; იმ სახლებშიაც, სადაც გადამდებ სენით შეპყრობილნი ავადმყოფნი არიან, შეგვიძლიან მრავალი მიკრობი აღმოვაჩინოთ.

ჰაერი, რომელსაც ჩვენ ვსუნთქავთ, შესდგება ორის უმთავრესის ნაწილისაგან:

აზოტიდგან (79%) და მჟავბადიდგან (21%); ამათ გარდა ჰაერში ცოტაოდნად გარეულია ნახშირ-მჟავა, ამმიაკი, ოზონი და ორთქლი. ამ ნაწილების გარდა ჰაერში, როგორც ზემოდ აღვნიშნეთ, მრავლად ყოფილა სხვა და სხვა მიკრობები, რომელთა შორის გადამდებ სენთა გამომწვევველნი მიკრობები უმცირესს ნაწილს შეადგენენ, ჰაერში ძლიერ ცოტა იქნებოდა მავნე მიკრობთა რიცხვი, თვით ავადმყოფი ადამიანი რომ არ გარდასცემდეს ჰაერს. მაგალითად, Karst-მა იმ ოთახის ჰაერში სადაც ჰლექიანები იწვნენ, ჰლექის ბაცილები აღმოაჩინა.

ჩვენ ვიცით, რომ ჰლექიანს ნახველთან ერთად ფილტვებიდგან ბაცილებიც ამოაქვს; ნახველი ხმება და მტვრად იქცევა, მტვერი გადადის ჰაერში და ამასთან ბაცილებიც ჰაერს უერთდებიან. ამიტომ ის ჰაერი, სადაც ჰლექიანია, მავნეა თავის მომწამლავის თვისებებით.

ჰაერით გადადის ის მომწამლავი ძალა, ანუ უკეთ ვთქვათ, მიკრობები, რომლებიც ადამიანს უჩენენ სოფლეს, ყვავილს, წითელას, ხუნაგს და სხვას.

ჰაერის შემდეგ წყალიც კარგი ნიადაგია მიკრობების გამრავლებისათვის; ხშირად შეგვიძლიან წყალში ძლიერ მავნე მიკრობები აღმოვაჩინოთ.

ჰიპოკრატმა სთქვა, რომ იმას, ვინც დაგუბებულ წყალს სვამს, ტყირპი გაუჩნდებაო. ამიტომ იმ ქვეყნებში, სადაც ცუდს, დაგუბებულ წყალს ჰხმარობენ სასმელათ, გახშირებულია ციებ-ცხელება.

უფროს-ერთს შემთხვევაში მავნე მიკრობები იქიდგან ჩნდებიან წყალში, რომ იქა ჰრეცხავენ გადამდებ სენით შეპყრობილ ადამიანის სარეცხს; უფრო ხშირად კი ამ გვარი ავადმყოფის განავალით იწამლება წყალი.

სამკურნალო მეცნიერებამ აღმოაჩინა, რომ ხოლერის მიზეზი არის ერთგვარი ბაცილა, რომელიც თავისის მოყვანილობით წააგავს ნიშანს —მძიმეს (,). ეს ბაცილა ძლიერ დიდ ხანს სცოცხლობს წყალში, აქედგან ადვილად წარმოსადგენია, თუ რამდენად იქმნება მოწამლული წყალი იქ, სადაც ხოლერიანი ავადმყოფები არიან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც არავითარი სანიტარული ღონისძიება არ არის მიღებული.

კოხმა, გერმანელმა მეცნიერმა, ინდოეთში ხოლერობის დროს მრავალი აღმოაჩინა ამ სენის ბაცილები იმ გუბეში, საიდგანაც იქაური მცხოვრებნი სასმელს წყალს იღებდნენ.

არც წვიმისა და თოვლის წყალი არის თავისუფალი მიკრობებისაგან, რადგან წვიმამ და თოვლმა, ვიდრე მიწას მოაღწევდნენ, ჰაერი უნდა გამოიარონ, რომელიც, როგორც ვთქვით, სავსეა მიკრობებით, რომელთა შორის ხშირად მავნე თვისებისანიც არიან.

აქედგან სჩანს, თუ როგორ უნდა იყოს გაფრთხილებული ადამიანი სასმელ წყლის შესახებ და განსაკუთრებით მაშინ, როდესაც იმგვარი სენი მძვინვარებს, როგორიც მაგალითად, ხოლერაა. საუკეთესო საშუალება ამ შემთხვევაში ის არის, რომ ადამიანმა ნადუღი წყალი სვას.

სხვა-და-სხვა გვარ მიკრობის აღმოჩენა შესაძლოა აგრეთვე მიწაშიაც.

წვიმის წყალს ჰაერიდგან ჩააქვს მიწაში მიკრობები; მიწაშივე იხრწნება ავადმყოფ არსებათა განავალი. სუყველა ეს, რასაკვირველია, ხელს უწყობს მიწაში მიკრობთა გამრავლებას.

პასტერმა ერთ გრამ *) მიწაში, რომელიც ოც სანტიმეტრის სიღრმიდგან ამოიღო, ნახევარი მილიონი მიკრობი აღმოაჩინა, რომელთა შორის უმეტესი ნაწილი მავნე თვისებისა იყო.

კოხის გამოკვლევიდგან სჩანს, რომ მიკრობები აღლ ნახევარ სიღრმის მეტს ვერა სცოცხლობენ მიწაში. აქედგან მომწამვლავი ძალა ვრცელდება იმითი, რომ მიწა ხმება, მტვრად იქცევა, რომელიც ქარს ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადააქვს და ბაცილებიც ჰაერს სწამლავენ.

ამ საშუალებათა გარდა ადამიანის სხეული შესაძლოა მოიწამლოს საჭმლითაც: ხორცი, რომლითაც ჩვენ ვიკვებებით, თუ რომ სენიან პირუტყვისაა, ჩვენს სხეულსა სწამლავს. ამ გზით შესაძლოა გახდეს ადამიანი ავად ჰლექით, ციმბირის ჭირით, ტრიხინით და სხვა.

რძეს სხვა საზრდოთა შორის უპირველესი ადგილი უჭირავს, რადგან იაფი და ნოყიერია. ყველაზედ უფრო ძროხის რძეა ხმარებაში. ვი-

---

*) რვა მისხალია.

*.* ამას წინად სოფელ ვაშლოვანის ცხოვრებს სოსია ამხაშვილს, როდესაც ...ი ტფილისიდგან თავისს სოფელში მიდიო-..., გზაზედ საშინელი ქარ-ბუქი ამოჰვარდ-... ამხაშვილი გზაში გაყინულა.

## ...შ. წერა-კითხვის გამავრცე-ლებელ საზოგადოების სასარ-გებლოდ გამართული კონცერტი 18 დეკემბერს.

...ოცი წელიწადია მას აქეთ, რაც ...ფილისის „სობრანიის“ დარბაზს არ ...ნახავს იმოდენი საზოგადოება, რა-...ენიც 18 დეკემბერს „ქ. შ. წერა-...თხვის გამავრცელებელი საზოგადო-...ის“ სასარგებლოდ გამართულმა ...ნცერტმა მიიზიდა. მართალია, ქა-...თველი საზოგადოება დიდის თანა-...რძნობით ეგებება ამ საზოგადოების ...ნცერტებს დ დიდის სიამოვნებითაც ...დის ამ კონცერტებზედ, მაგრამ ... თანაგრძნობა წლეულს თუ გა-...-გასამკეცდა, ამის მიზეზი უმთავ-...სად იყო კნ. კ. ფ. გურამიშვი-...ისა, რომელიც ამ კონცერტში ...ნაწილეობას იღებდა. განცხადება ...ჯერ დაბეჭდილი არ იყო, როცა ... გავრცელდა, კნ. გურამიშვილი ... კონცერტში მონაწილეობას იღ-...ო, და საზოგადოება მაშინვე ბი-...თების შეძენის ზრუნვას შეუდგა. ...წერა-კითხვის საზოგადოების კან-...ცელარიაში“ ტევა არ იყო; დიდი ... პატარა, მაღალის თუ მდაბალის ...ოდებისა, ყველა ბილეთს თხოუ-...ობდა. დადგა სასურველი დღეც ... ყველანი მოუთმენლად მოელო-...ნენ იმ წამს, როცა სცენაზედ გა-...ჩნდებოდა ყველასათვის სანუკვარი ...მღერალი ქალი. საღამოს ცხრის ...ნახევარზედ კონცერტი დაიწყო. ...ნი ზ. ჰ. ფალიაშვილის ლამაზ სა-...ცხოვოდ იმღერა „თამარის დროშა“, ...ნუბა-ქაქუჩა“ და „გოგონა“. შემდეგ ... ვ. მ. ამირაჯიბმა შეასრულა ...ებენშტეინის სონატა ისეთის და-...ოვებითა და შესანიშნავი ტეხნი-კით, რომ კაცს ასე ეგონებოდა, როიალს ცოცხალი ენა ამო-უდგამსო. როიალის თითოეული ხმა, თითოეული ნოტი ღრმად სწვდებოდა მსმენელის გულის სიმებს, კარგად იმღერა ნ. დ. კავალენსკამ რუ-სული რომანსი „ნიჟეგოროდელები“-ს ოპერიდგან. ყველასაგან ცნობილი ვენიავსკის „ლეგენდა“ და ზაკრჟეც-კის „მაზურკა“ ხელოვნურად შეას-რულა ვიოლონჩელზედ ვ. მ. სარბუ-ლოვმა. გრძნობით იმღერა ორი ბაიათი კნ. ო. გ. ამირაჯიბმა, თუ-მცა გაციების გამო ხმა ისე რიგად ხელს არ უწყობდა. ამით გათავდა პირველი განყოფილება.

კონცერტის მეორე განყოფილება დაიწყო ა. დ. ბუშის დაკვრით ვიო-ლონჩელზედ. ბ-ნმა ბუშმა გრძნობით შეასრულა ალფრედ მეხუთეს მხია-რული პიესა: „scherzo“, რის შემ-დეგაც დარბაზში სრული სიჩუმე ჩამოვარდა. ყველანი ერთის გრძნო-ბით გამსჭვალულნი, ერთ და იმავე ადგილისაკენ გაიცქირებოდნენ. არ გასულა ნახევარი წამი, საზოგადოე-ბის წინაშე წარსდგა ნოტებით ხელში მაღალის ტანის, მოხდე-ნილის ტანთსაცმელით მომღე-რალი ქალი. ეს გახლდათ კნ. კ. ფ. გურამიშვილისა. საზოგადოება დაუსრულებელი ტაშის კვრით მიე-გება და სიმღერის დაწყებამდის ცო-ცხალი ყვავილების თაიგული მიუ-ძღვნა. საზოგადოება სწენად გარდა-იქცა, როიალის ხმამ დ ვიოლონჩელის ნაზმა აკორდებმა საზოგადოებას ამ-ცნო ფ. გეროლდის „Le prè aux cleres“-ის ეფექტიურ არიის დაწყე-ბა. მთელი სამი ოთხის წამის განმა-ვლობაში მომღერალი ქალი ესტრა-დაზედ სდუმდა. ერთი წამიც და „სობრანიის“ ფართო დარბაზში რა-ღაც ტკბილმა და მეტად სა-სიამოვნო ხმამ ნაზად შეითამაშა. ეს ტკბილი, მომჯადოებელი ხმა ხან მეტად მინაზდებოდა ხოლმე და საამურ ჰანგებს ჩასჩურჩულებდა მა-ყურებელის ყურთასმენას, ხან რა-ღაც შემომქმედ ძალას შემოიხვევდა და რაინდულის გაბედულობით დარ-ბაზის სივრცეს მედგრად და თავ-მომწონედ დასტრიალებდა, ხან თო-ფის საფანტივით დარბაზის სივრცე-შივე მარგალიტებრ იბნეოდა და მსმენელთა გულს სიღრმე-სიგანით სწვდებოდა, ხანკი ნაზად და საამუ-რად ჰკვნესოდა და მსმენელის მთელ არსებას ერთბაშად ჰხიბლავდა. საზო-გადოებამ დაუბოლოვებელი ტაშის-კვრით დააჯილდოვა მომღერალი ქალი. ამ არიის შემდეგ კნ. კ. ფ. გურამიშვილისამ იმღერა ერთი რუსული სიმღერა და ერთიც ქართული. საზოგადოებას ისე მოე-წონა ქართული სიმღერა, რომ მომ-ღერალი ქალი იძულებული გახდა მეორედ ემღერნა ეს საუცხოვო რო-მანსი. პირველის სიმღერის გათავე-ბის შემდეგ კნ. კ. ფ. გურამიშვი-ლისას ნესტორ ახვლედიანმა მიართ-ვა თაიგულებით შემკული ძვირფასი კალათი. ამავე განყოფილებაში სასი-ამოვნო ხმით იღერა აგრეთვე თავ. ი. ა. ბარათაშვილმა რომანსები; „ნანა შვილო“ და „შენ გეტრფი მარად“. თავ. ბარათაშვილი ჩვენს მომღერლებს შორის საპატიო ად-გილს დაიჭერს, თუ ცოტათი მაინც არის ავარჯიშა თავისი მოხდენილი ხმა. ჩვენმა ნიჭიერმა მსახიობმა კ. ს. მეს-ხმა ბევრი აცინა საზოგადოება სცე-ნების ხელოვნურ წაკითხვით, მხო-ლოდ კარგს იზამდა ბ-ნი მესხი, რე-პეტუარი რომ შეეცვალა. კონცერტს დაესწრო ტფილისის ოპერის გამო-ჩენილი მომღერალი ქალი პაპაიანი, რომელიც დიდის აღტაცებით მიე-გება კნ. კ. ფ. გურამიშვილის ხმას.

ა. ჯუმისთაველი.

## რამდენიმე სიტყვა ზოგიერთ სო-ფლის მამასახლისის და მათ მოქმედების შესახებ.

რადგან გლეხ-კაცი თავისსავე მოძ-მის გულში ღრმადაა ჩახედული, რა-დგან მან უფრო უკეთ უწყის თავის მოძმის ყოველ დღიური ვარამი, მთავ-რობამ დაადგინა: სოფლის მოხელე-ბად, ე. ი. მამასახლისებად იყვნენ ხო-ლმე ამორჩეულნი გლეხნი, რომელთა როგორც ამორჩევა, აგრეთვე გადაყენე-ბაც გლეხთა საზოგადოების უფლებას უნდა შეადგენდესო.

მართალია, ეს კანონიერი დადგენი-ლება დღევანდლამდის ისევ ჰსუფევს, მაგრამ, სამაგიეროდ იმისა, რომ ჩვენ-მა ზოგიერთმა მამასახლისებმა გაამარ-თლონ ამ დადგენილების დედა-აზრი, ეს ვაჟ-ბატონები თითქოს სრულიადაც არა ჰფიქრობენ ამას იგდებენ ხელთ თუ არა უფროსობას. მაშინვე გონება მხოლოდ იქითკენ მიურბით, რომ რაც შეიძლება, მეტად მარცვონ თავიანთი მოძმეები. ტყუილად-კი არ არის ნათქ-ვამი: „კანონნი წმიდანნი არიან, მხო-ლოდ აღმასრულებელნი-კი ბოროტნი, ან-გარნი და უჯიათნიო“.

სხვაგან არ ვიცი, ხოლო ჩვენსკენ-კი (თიანეთის მაზრაში) ხშირად შეჰხვდე-ბით იმისთანა მამასახლისებს, რომლე-ბიც საქმის გარჩევის დროს ხელ-მძღვა-ნელობენ მოხარშულ-დაწვრილ დედ-ლით, ღვინო—არყით, შოთებ-ნაზუქე-ბით და ვისიც-კი ესენი ეშოვება, თუ-გინდ სულ ჩასაქოლი და მისთან გა-სასწორებელიც იყოს, მაინც გამართლ-დება და მაინცა. რომ უფრო აშკარად დაგანახოთ მკითხველს ზოგიერთის მა-მასახლისის ასეთი მოქმედება, მოვიყ-ვან ერთს შემთხვევას: ავიღოთ, მაგა-ლითად, ქვრივი მანდილოსანი, რომელ-საც ქმრის სიკვდილის შემდეგ დარჩე-ნია შესანახად წვრილ-შვილი. კანონის ძალით მას სრული უფლება აქვს ისარ-გებლოს იმავე სახლმწიფო მამულებით, რომლითაც მისი ქმარი სარგებლობდა; გარდა ამისა ქვრივი ამავე დროს გან-თავისუფლებულია, ვიდრე ვაჟიშვილები წამოეზრდებიან, ყოველ სასოფლო და სახელმწიფო ხარჯისაგან: ფოსტის ფულისა, ბეგრისა და სხ. ამგვარ კა-ნონის ძალა მამასახლისებმა კარგად უწ-ყიან, მაგრამ ამავე დროს ახლად დაქვ-რივებულმა მანდილოსანმა ზოგიერთს მიყრუებულს სოფლებში ამ კანონისა არა იცის რა და ის-ღა გაჰქცევია თა-ვში საცემად, თუ როგორ იხადოს ფოსტის ფული, ბეგარა და სხვა. რო-დესაც ამ გვარ შეწუხება-დავიდარაბაშია საწყალი, ქვრივი მიდის მასთან მამასახ-ლისი კითომ სანუგეშებლად და ეუბნე-ბა: „ნუ გეშინიან, მე დაგიხსნი მაგ გაჭირვებისგანო“. ქვრივსაც იმედი ეძ-ლევა და ჰპირდება სამაგიეროს გადა-გიხდიო. გაივლის რამდენიმე დღე თუ არა, მიადგება კარს მამასახლისი და ეუბნება: „ნახადიკისა“ კოხოვე და ამო-ვაშვებინე შენი თავი ბეგარისაგან და აგრეთვე ფოსტის ფული გადაგხდებაო“. ამ ამბით გახარებული მანდილოსანიც რაცა აქვს, არა ჰზოგავს: უმასპინძლე-დება მამასახლისს და თუ მოუძებნება, ფულსაც აძლევს. ბევრი ამისთანა სხვა მაგალითებიც არის, მაგრამ მათი ჩამო-თვლა საჭირო არ უნდა იყოს.

სიტყვა „მამასახლისი“ არის დარ-ჩენილი ჩვენში ძველთაგანვე, თუმცა ის დიდი მნიშვნელობა აღარ აქვს ამ ჟამად. უწინდელს დროში, როდესაც საქართველოში ისევ კერძო-თავადის-მფლობელობა ჰსუფევდა, მთელი საქართ-ველო განიყოფებოდა შვიდ სამამასახ-ლისოდ. თითოეულს მამასახლისს ება-რა არა მარტო ერთი საზოგადოება, არამედ მთელი მეშვიდედი ნაწილი სა-ქართველოსი, რომელიც შესდგებოდა რამდენისამე საზოგადოებისაგან. რო-გორც ვხედავთ, დიდი მოვალეობა ჰქ-ონდა უწინ მამასახლისს და ამიტომ უფ-ლებაც დიდი ჰქონდა. ეხლა-კი, დროთა ვითარებისა გამო და ცხოვრების შეცვ-ლა-გადაცვლის მეოხებით, მამასახლი-სის მოვალეობასაც ფერი ეცვალა, შე-მცირდა ეს უკანასკნელი და მის შე-საბამად უფლებას შემცირებაც ზედ დაერთო.

სახელ-წოდება „მამასახლისი“ დიდ-მნიშვნელოვანია და ვინც-კი მას ატარებს, თვით იგიც შეგნებული და ღირსეული კაცი უნდა იყოს. მაგრამ გლეხთა საუ-ბედუროდ ეს ხშირად ასე არ არის. ჩვენის აზრით, სახელის ღირსეულად ტარება ძალ-უძს მხოლოდ ზნეობით ამაღლებულს, განათლებულს კაცს.

მე ლაპარაკი მაქვს მხოლოდ თიანე-თის მაზრის ზოგიერთ მამასახლისების შესახებ. წარსულს შემოდგომაზედ ფშავთა შორის, რომლებიც ეკუთვნიან

---

...ით, რომ ძროხა ხშირად გახდება ...ლმე იმ სენით ავათ, რომელიც ...ვენს ჭლექს უდრის.

...ამ გვარის ძროხის რძე ძლიერ ...ვნებელია, რადგან შეუძლიან ადა-...ანს ჭლექი შეჰყაროს. ასეთი რძე ...ით უფრო საშიშია, რომ პირვე-...ად ყოველთვის შეუმჩნევლად ჩა-...ლის ხოლმე ძროხის ავადმყოფო-... არც რძეს ეტყობა რაიმე შესა-...ევი ცვლილება. შემდეგ-კი ძრო-... სიცხეს აძლევს, რძე ან ეკარგე-... სრულიად, ან ძლიერ უთხელდე-... და ყვითლდება. მიკროსკოპით ამ ...არ რძეში ჭლექის ბაცილებს აღ-...აჩენთ.

...ამიტომ ყოველ შემთხვევაში სა-...როა რძის დიდხანს დუღილი, ...მლის წყალობით ყოველ გვარი ...ენე ბაცილა თავის მომწამლავს ძა-...ას ჰკარგავს. ჭლექის მსგავს სე-...თ პირუტყვთა შორის ძროხის ...რდა, ჰხდება ავათ ძაღლი, კა-...; ფრინველთა შორის თუთიყუ-..., ქათამი და სხვა.

...ის ადგილი, სადაც გადამდები სე-..., ყოველთვის საშიშია და მოსა-...დებელია: ხშირად მოხდება, რომ ...მელიმე სენი მოედება ხოლმე ...ლ არე-მარეს; ასე გავრცელება ...ისა იმითი აიხსნება კიდევ, რომ ... ადამიანს გადააქვს საწამლავი ერთი ადგილიდგან მეორეზედ. ხში-რად მგზავრი, რომელიც უცხო ქვეყ-ნიდგან ჩამოსულა, სადაც მოარუ-ლია გადამდებ სენისა, თან ჩამოი-ტანს ხოლმე ამ სენის ბაცილებს თა-ვისის ბარგით. ამიტომ იმ სახლში, სადაც გადამდებ სენით არის ვინმე ავად, მისვლა მოსვლა და სტუმრობა სასტიკად უნდა აიკრძალოს. ამ გვა-რადვე საშიშია ყოველი ნივთი, რო-მელიც ამ სახლიდგან გამოტანილია.

თუ რომ ქვეყანა ასე მოდებული ყოფილა მიკრობებით, მაშ ადამიანი როგორ-და სცოცხლობს? სჩანს, რომ ეს ჩვენი უხილავი მტერი არც ისე საშინელი ყოფილა, თუ რომ კაცობრიობა არამც თუ არ ამოწყდა აქამდის, არამედ თან-დათან მრავლდება!

ფიზიოლოგმა ბუშმა სთქვა, რომ სიცოცხლე მუდმივი ბრძოლაა სიკვ-დილთანაო. ადამიანი დაბადებისათა-ნავე იბრძვის არსებობისათვის. იხო-ცებიან ისინი, რომლებიც ბუნებით სუსტნი არიან. ებრძვის ადამიანი მრავალ სხვა-და-სხვა გვარ ცუდ და მავნე გარემოებას, რომელთა შორი საც იგი იმყოფება. იმ მტერთა შო-რის, რომლის წინააღმდეგაც საჭი-როა ბრძოლა, უნდა ჩავრიცხოთ მიკრობებიც. მაგრამ, ვიმეორებთ, ბუნებამ არც ჩვენ დაგვივიწყა, ჩვენც მოგვცა შესაფერი იარაღი ბრძოლისა. ცოცხალს ადამიანს რომ მართლა აქვს ბუნებრივი ძალა ბრძოლისა მიკრობ-თა წინააღმდეგ, ეს, სხვათა შორის, იქიდგანა სჩანს, რომ როგორც-კი ჰკარგავს ჩვენი სხეული სიცოცხლეს, მაშასადამე, ამ ძალას, მაშინვე საუ-კეთესო ნიადაგი ხდება მიკრობთათ-ვის: უსულო გვამში მიკრობნი ფრი-ად მალე მრავლდებიან და მათის წყალობით გვამი იხრწნება და ბო-ლოს სრულიად ჰქრება.

ყოველ ჩვენს ორგანოს გამოაქვს იმ გვარი წვენი, რომელიც ან სულ ჰკლავს მიკრობს დ ან ასუსტებს და ძალას ართმევს. ადამიანის პირის ნერწყვი იმ გვარის ქიმიურ თვისე-ბისაა, რომ ბევრს შხამიან მიკრობს ასუსტებს დი სხეულისთვის უვნებ-ლადა ჰხდის. ამავე თვისებისაა კუ-ჭის და წვლების წვენი: თვით ჩვე-ნი სისხლი უვარგისი ნიადაგია ყო-ველ გვარ მიკრობთა გამრავლები-სათვის. არის ისეთი სულიერი არსე-ბა, რომლის სისხლს იმ გვარი თვი-სება აქვს, რომ იქ ცოტა ხნის გან-მავლობაში იხოცება ზოგიერთ გა-დამდების სენის მიკრობი. აი იმითი აიხსნება, რომ ზოგიერთ პირუტყვი სრულიად უვნებელია ზოგიერთ სე-ნისაგან.

მიკრობმა რომ ჩვენში შესაფერი სენი გამოიწვიოს, საჭიროა, რომ სხეული მოკლებული იყოს თავისს ბუნებრივ ძალას, ესე იგი ვერ გაუ-წიოს ძლიერი წინააღმდეგობა. ერთ-მა მეცნიერმა გასინჯა რამდენისამე ადამიანის პირი და აღმოაჩინა, რომ ყოველთვის ოცამდის სხვა-და-სხვა გვარი მავნე მიკრობია შიგ; ეს მეც-ნიერი ყოველთვის საღ, ჯანმრთელ ადამიანის პირს იკვლევდა.

ამ უკანასკნელ დროს დამტკიცდა, რომ შესაძლოა ადამიანის ფილტვებ-სა და სხვა ორგანოებში იმყოფებო-დეს ჭლექის ბაცილები და იმავე დროს ადამიანი საღი იყოს.

წინად, როდესაც პირველად კოხ-მა ჭლექის ბაცილა აღმოაჩინა, ყველანი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ როგორც-კი ადამიანი გადაჰ-ყლაპავდა ამ მიკრობს, მაშინვე მოი-წამლებოდა, დღეს-კი, ვიმეორებთ, ამ გვარი აზრი როგორც ჭლექის, ისე სხვა სენის შესახებაც უარყო-ფილია **).

საჭიროა რაიმე დამასუსტებელი გარემოება ჩვენის სხეულისთვის, რომ იგი მიკრობთათვის სახეირო ნიადაგად გარდაიქცეს. დამასუსტე-ბელ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს გაციება, ლოთობა, საჭმლის გაურ-ჩევლობა, რაც, რასაკვირველია, ასუსტებს კუჭს და, მაშასადამე, ამღვრევს სისხლს.

ზოგიერთ ავადმყოფობაზედ დიდი გავლენა აქვს მემკვიდრეობას, რომ-ლის ძალით ადამიანი ზოგიერთ სე-ნის ადვილად შემთვისებლობას იძენს. სხეული ამ შემთხვევაში მოკ-ლებულია ბუნებრივს ძალას, რომ წინააღმდეგობის გაწევა შეიძლოს მიკრობებთან ბრძოლის დროს.

არის იმ გვარი გადამდები სენი, რომლითაც ადამიანი მხოლოდ ბავ-შვობის დროს გახდება ავათ, როგ-ორც, მაგალითად, წითელა, ქუნთ-რუშა, ხუნაგი და სხვა. ის, ვისაც ერთხელ შეჰყრია გადამდები სენი და მორჩენილა, სამუდამოდ, ან მხო-ლოდ დროებით უვნებელი ხდება ამ სენის საწამლავისაგან.

ჩვენი ხალხი ამას „მოიხადაო“ ეძახის. სამკურნალო მეცნიერება ამ მოვლენას იმითი ხსნის, რომ სისხ-ლი ამ შემთხვევაში იძენს იმ გვარს განსაკუთრებულ თვისებას, რომელიც ამ სენის მიკრობებს ხელ-მეორედ გამრავლებას უშლის სხეულში. ამ გვარ ახლად შეძენილ თვისებას მკურნალნი უწოდებენ „იმუნიტეტს“, რომლის შესახებაც ჩვენ სხვა დროს გვექნება მუსაიფი.

ექიმი ბადრიძე

**) Jaccoud: sur l'origine hospitaliére de la phtisie pulmonaire (la semaine médicale, № 8 1896.

სოფ. მაღარო-კარის საზოგადოებას (თიანეთის მაზრა), როგორც იქმნა განხორციელდა კეთილი აზრი: მაშინ ერთხმივ ამორჩეულ იქმნა მამასახლისად ჩვენი საყვარელი მგოსანი „ვაჟა-ფშაველა“. გარგახსნია, რაც „ვაჟა-ფშაველა“ შექცევლობია ამ ხალხსა გულს-მოდგინედ თვალს ადევნებს მისი ცხოვრების მსვლელობას და ყოველ დროს მზადაა დაეხმაროს დაჩაგრულ მოძმეთ. კარგა ხანია, რაც ფშაველებს სურდათ მისი მამასახლისად ამორჩევა, მაგრამ, უკულთვის, როცა-კი თავიანთ სურვილის განხორციელებას მოინდომებდნენ, ვარეშე გარემოება უშლიდათ ხელს. დღეს-კი ამორჩეულ იქმნა ვაჟა ფშაველა მამასახლისად და თუ დამტკიცდა ამ თანამდებობაზედ, მაღარო-კარელთ შეიძლება ბედმა გაუღიმოთ.

პატარა-მათურელი

## დამავიწყდა

დედაკაცი ეშმაკს უფრო ადვილად აიტანს, ვიდრე იმას, რომ თავისს მეტოქეს ლამაზი დაუძახოს.

გოგოლი

***

კაცსა მკვდელსა და კაშკაცსა და კაცსა მკვეხარსა და ბაქიას ასე განათავსებენ მკვლდთაგანვე: „ხმალი მაისურაძისა (და) ბაქიბუქი ბაქრაძისა!“

ლასურიძე

## ჟურნალ-გაზეთებიდგან.

(ამოკრებილი ამბები)

გაზეთებში საისტორიო ცნობებია დაბეჭდილი პარიჟის წარსულ გამოფენების შესახებ. პირველი გამოფენა პარიჟში გაუმართავთ 1798 წელს; ამ გამოფენაზედ სულ 110 ექსპონატი ყოფილა, დაუხარჯავთ 60,000 ფრანკი. მეორე გამოფენა 1801 წელს ლუვრის სასახლეში გაუმართავთ; მესამე—1802 წელს. შემდეგი გამოფენები თან-და-თან იზრდებოდნენ; მონაწილეობას ბევრი იღებდა და ხალხიც ბევრი ესწრებოდა. პარიჟის პირველი მსოფლიო გამოფენა გაუმართავთ 1858 წელს. ამ გამოფენისთვის მთავრობას დაუხარჯნია 11,500,000 ფრანკი; მონაწილეობა მიუღია 23,954 ექსპონენტს. გამოფენა დაუთვალიერებია 5,160,000 კაცს. მეორე მსოფლიო გამოფენა გაუმართავთ 1867 წელს. ამ გამოფენის სანახავად 10,000,000 კაცი მისულა; მესამე გამოფენა—1878 წელს; დასწრებია უფრო მეტი ხალხი, სახელდობრ 16 მილიონი. უკანასკნელი მსოფლიო გამოფენა გამართულ იქმნა 1889 წელს. ამ გამოფენამ ყველა წინანდელი გამოფენა დაჩრდილა. დედამიწის ყველა კუთხიდგან გაემართა ხალხი გამოფენის დასათვალიერებლად. სულ 35,000,000 კაცი მისულა პარიჟში გამოფენის სანახავად. ამბობენ, რომ მომავალი მსოფლიო გამოფენა 1889 წლის გამოფენას ბევრით გადააჭარბებსო. ხალხიც, როგორც ჰფიქრობენ, აუარებელი დაესწრება.

## ახალი წიგნები

რედაქციამ მიიღო შემდეგი რუსული წიგნები: 1, „Календарь-Альманахъ 1900,“ შედგენილი გ. მ. ლასხიშვილის მიერ. ეს კალენდარი მშვენივრად არის შედგენილი. საკალენდრო ცნობებს გარდა სალიტერატურო ნაწილიც აქვს ამ კალენდარს; მოთავსებულია მოთხრობები კ. ბარანცევიჩისა, ზ. მალიშევსკისა (პოლონურიდგან ნათარგმნი), გ. რეიტერისა (ნემეცურიდგან ნათარგმნი), ლ. ყიფიანის და ივანე და მარიას ლექსები და რამდენიმე საყურადღებო წერილი. ბოლოში კალენდარს ტრანსვაალისა და ორანჟის რუკა აქვს დართული, წიგნი დიდი ფორმატისაა, ძალიან კარგ ქაღალდზეა დაბეჭდილი და ღირს მხოლოდ 20 კაპეიკად.

2, „Тифлисскій настольный календарь“ 1900 წლისა, გამოცემული ვ. ა. გერცენშტეინის მიერ. წიგნში მრავალი საკალენდრო და სხვა საყურადღებო ცნობებია მოთავსებული. სალიტერატურო ნაწილში მოკლე ბიოგრაფიაა. ქართულ მწერლებისა და პოეტებისა: ა. მ. ყაზბეგისა, ნიკოლოზ ბარათაშვილისა, გიორგი ერისთავისა, დავით ერისთავისა, რაფიელ ერისთავისა, ბარბარე ჯორჯაძისა, თავ. ი. გ. ჭავჭავაძისა, თავ. მამია გურიელისა და თავ. აკაკი წერეთლისა; სომხის მწერლებისა: რ. პატკანიანისა, რაფფისა. გრიგ. არწრუნისა, ა. პარონიანისა, გაბრიელ სუნდუკიანცისა, ცერენცისა, შახ-აზიზისა და პროშიანცისა. კალენდარში სურათებიც არის. კალენდარი სუფთად არის გამოცემული და 166 გვერდს შეიცავს. ფასი არ აწერია.

## გამოსადეგი ცნობა

ლურსმანს სინოტივეს გამო ხშირად ჟანგი ეკიდება და წინანდელი სიმაგრე აღარა აქვს. ლურსმის ჟანგისაგან ასაცილებლად ამ უბრალო საშუალებასა ხმარობენ. ხმარებამდე გაახურებენ ხოლმე ცეცხლში ლურსმანს ისე ძლიერ, რომ წითლად დაიწყოს ლაპლაპი და მერე ცივს სელის ზეთში აგდებენ. ასე გამობრძმედებული ლურსმანი აღარა ჟანგდება.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

22 დეკემბერი

**პეტერბურგი.** მწერალი გრიგოროვიჩი გარდაიცვალა.

**პარიჟი.** უზენაესი სასამართლო. საიდუმლო თათბირობაზედ დერულედი დამნაშავედ იქმნა ცნობილი 136 ხმით 37-ის წინაამდეგ.

**ლონდონი.** დილის გაზეთებში შემდეგი დეპეშა არის დაბეჭდილი, რენსბურგიდგან გამოგზავნილი 2 იანვარს: კოლსბერგთან მოულოდნელად შეიცვალა მდგომარეობა: ლამით ბურებმა ისევ დაიჭირეს პოზიცია, საიდგანაც ისინი განდევნა გუშინ გენერალმა ფრენჩმა. ცხადია, ბურებს მაშველი ჯარი მოემატათ.

**დუგლასი.** პოლკოვნიკ პილჩერის მიერ დამარცხებული რაზმი მომეტებულ ნაწილად შესდგებოდა ბრიტანიის აჯანყებულ ქვეშევრდომთაგან. ლინდრონსტი გაიქცა გუშინ საღამოს ცხენოსან ინსურგენტებთან ერთად, ქვეითა ინსურგენტები, როგორც ისმის, გამაგრდნენ ქალაქის მახლობლად. ქალაქის მცხოვრებლებმა, რომელთაც არ უღალატნიათ მთავრობისათვის, ბრიტანიის დროშა გაშალეს ინგლისის ჯარის მისვლამდისინ და ორანჟეს რესპუბლიკის დროშა ჩამოუშვეს. ჯარი ალტაცებით მიიღეს.

**ნიუპორტი.** კოლსბერგის ქვემოთ სერებზედ სასტიკი ბრძოლა ასტყდა. მტერი დაურიდებლად იცავდა თითოეულს პუნქტს. მაგრამ, ნელ-ნელა მაინც უკან დაიწია. ბრიტანიის ჯარი გამაგრდა ფართე ადგილზედ, რომელიც ქალაქს დაჰყურებს.

**მოდდერ-რივერი.** გუშინ ბანაკიდგან გავიდა მზვერავი ცხენოსანი რაზმი გენერალ ბაბინგტონის მეთაურობით. ამ მოძრაობას კავშირი ჰქონდა პოლკოვნიკ პილჩერის გალაშქრებასთან ბელმონტზედ, რომელიც დამთავრდა მტრის ბანაკის დაჭერით და 40 ბურის ტყვედ წაყვანით. ბაბინგტონის ჯარიც იქითკენ მიდიოდა; რა ბოლო მოჰყვა ამ მოძრაობას, ჯერ არა იციან-რა.

## განცხადებანი


პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება-რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ.—3 მან. და 1 მ. 50 კაპ.




**ახალი საშუალება**

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

**„ქვერცხის რძე“**

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე“ არჩენს მზისაგან დამწვარ კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. **ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდენია:** დიდი ჰიქა—2 მან., პატარა—1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთექო მაღაზიაში. მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზედ № 15, სადგ. 12. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში—ერევნის მოედ. სააფთექო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში, იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთექო მაღაზიაში.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გაეგზავნებათ. (100—150—58)

დაიბეჭდა და ისყიდება

**1900 წ.**

**ქართული**

**კედლის კალენდარი**

გრ. ჩარკვიანისა.

(წელიწადი XII)

უმთავრესი საწყობი წერა-კითხვის მაღაზიაში.

**ფასი 40 კაპ.**

გარეშე პირთ ამ ადრესით შეუძლიან გაიწერონ: Тифлисъ, въ книжный магазинъ Общества грамотности; дворц. ул. д. дворянства, № 101. (10—3.)

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება მ. შარაძის და ამხანაგობის გამოცემა

**მიცვალებულის საგალობელი.**

წიგნში მოთავსებულია მიცვალებულის ყველა სხლის პირი, გადაღებულია ფ. ი. ქორიძის მიერ, ღირს 20 კ. და ისყიდება გამომცემელთა სტამბასა და წერა-კითხვის საზოგადოებაში.

წერა-კითხვის გამავრ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

მოლიპულ გზაზე ან. ერისთავის 1 მ.

თავადის ქალი ურბანოვსკისა, თარ. ნ. ავალიშვილისა, 60 კ.

ვეფხვის ტყაოსანი, ნაამბობი მოზრდილ ყრმათათვის გ. იოსელიანისა 25 კ.

სიტყვიერების თეორია 1 მან.

ამოდის ნათდება, ვაჟა-ფშაველასი 15 კაპ.

ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი 40 კაპ.

Письма о грузіи Исарлова 8[0]

Телавскій уѣздъ Хаханова 1 [м.] 25 кап.

Древній Анчисхатскій соборъ Карбелова—20 к.

გრამატიკა თ. ჟორდანიასი—55

Новая постановка педагог. ла въ учеб. завѣд. И. Ростомов[а] 20 к.

საგალობელნი შობის დღესასწაულისა—25 კ.

საერო დღესასწაული—25 კ.

ჩართული ანბანი, გრ. ტატიშვილისა 1 მ.

კანვაზედ საკერი ანბანი მისივე 4[0]

საყმაწვილო მოთხრობანი, გაბაშვილისა 30 კ.

## „ივერია“

1900 წელსაც გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელიც ზედ მოსდევს კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 „ | 9 „ 50 | 5 „ | 5 „ 50 |
| 10 „ | 8 „ 75 | 4 „ | 4 „ 75 |
| 9 „ | 8 „ — | 3 „ | 3 „ 55 |
| 8 „ | 7 „ 25 | 2 „ | 2 „ 75 |
| 7 „ | 6 „ 50 | 1 „ | 1 „ 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Редакція „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანეთი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდგან სხვა ადგილს გადავიდა სადმე, ქალაქს გარედვე,—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას გაზეთი გაეგზავნება პირველ იმ თვიდგან, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ., ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანეთი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანეთი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს, ხოლო წვრილმანს წერილებს რედაქცია არ ინახავს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა უქმეებს გარდა, ნაშუადღევის პირველ საათიდგან სამ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 21.

სამპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

## „კვალი“

გამოვა 1900 წელსაც ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდე იმავე პროგრამით, როგორც 1899 წელს.

რედაქციისაგან: ახალი წლიდგან „კვალს“ მიემატება ახალი განყოფილებები, რისთვისაც შედგამუდმივ თანამშრომელთა სარედაქციო წრე.

გაზეთი წლიურად ღირს გაუგზავნელად 7 მანეთად, ხოლო გაგზავნით 8 მანეთ. ნახევარი წლით გაუგზავნელად 3 მან. 50 კაპ., გაგზავნით 4 მანეთ. სამი თვით გაუგზავნელად 2 მანეთ. გაგზავნით 2 მან. 50 [კ.] თითო ნომერი სამ შაურად. ხელისმომწერლებს წლის ფული შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გამოგზავნონ.

ხელის მოწერა მიიღება თფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში“ (Дворцовая ул. д. зем. банка № 101) და თვით „კვალის“ რედაქციაში არტილერიის ქუჩა, № 5, კირხის ახლოს.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ редакція „КВАЛИ“. (4—6.—3)


Дозволено цензурою, Тифлисъ 23 Декабря 1899 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე